ასტრიდ ლინდგრენი

იცი, ვინ არის ასტრიდ ლინდგრენი? რა გაგიგია მის შესახებ?

ასტრიდ ლინდგრენი შვედი მწერალია. იგი 1907 წლის 14 ნოემბერს დაიბადა. ცხოვრობდა სტოკჰოლმში. იქ დაიწყო მან საბავშვო წიგნების წერა.

პირველი წიგნი ასტრიდმა 38 წლისამ დაწერა. ეს იყო „პეპი გრძელწინდა“. თავიდან წიგნი არავინ დაბეჭდა. ალბათ, არ მოეწონათ პეპი, ეს **ცელქი** გოგონა. მალე ასტრიდმა ერთ კონკურსში გაიმარჯვა. მას ჯილდოც გადასცეს და ,,პეპიც“ დაუბეჭდეს. მკითხველმა მაშინვე შეიყვარა პეპი. მას შემდეგ ასტრიდმა კიდევ ბევრი წიგნი დაწერა.

ასტრიდის წიგნების მთავარი გმირები ბავშვები არიან. ზოგი ზარმაცია, ზოგი – **ჯიუტი**. მაგრამ ყველა მათგანი **კეთილი** და **სამართლიანია**. ალბათ, ამიტომ უყვართ ისინი ბავშვებს.

ასტრიდი ერთადერთი მწერალია, რომელსაც სიცოცხლეში დაუდგეს ძეგლი. ასევე გაუხსნეს მუზეუმი. იგი გახდა შვედეთის საუკუნის ადამიანი. მისი სახელი დაარქვეს ვარსკვლავს.

ასტრიდი 95 წლის იყო, რომ გარდაიცვალა.

რა გაიგე ახალი ასტრიდ ლინდგრენის შესახებ?

დონე: *A გარდამავალი*, **კომპონენტი:** *ფაქტი და მოსაზრება*

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ დაიწყო ასტრიდმა წიგნების წერა 38 წლის ასაკში.

ბ) რატომ დაუდგეს ასტრიდს ძეგლი მის სიცოცხლეში.

გ) რატომ არ დაუბეჭდეს ასტრიდ ლინდგრენს პირველი წიგნი.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ასტრიდს, ალბათ, მოსწონდა ცელქი ბავშვები.

ბ) ასტრიდმა საბავშვო წიგნების წერა სტოკჰოლმში დაიწყო.

გ) ფიქრობენ, „პეპი“ იმიტომ არ დაბეჭდეს, რომ არ მოეწონათ.

3 ასტრიდის ნაწარმოებების ბეჭდვა დაიწყო მას შემდეგ, რაც:

ა) მწერალმა ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა.

ბ) მწერალს შვედეთში მუზეუმი გაუხსნეს.

გ) მწერლის სახელი ვარსკვლავს დაარქვეს.

3 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) მკითხველს ძალიან მოეწონა ასტრიდის „პეპი გრძელწინდა“.

ა) ასტრიდი ითვლება შვედეთის საუკუნის ადამიანად.

ბ) პეპი კეთილი და სამართლიანია, ალბათ, ამიტომ უყვართ ბავშვებს.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

პეპი **ცელქი** გოგოა.

ა) მოუსვენარი. ბ) მხიარული. გ) მოხერხებული.

1 დააკავშირე სიტყვები და მათი განმარტებები.

1. კეთილი — არ უყვარს სწავლა და საქმის გაკეთება.
2. სამართლიანი — არავის არ უჯერებს, აკეთებს იმას, რაც თვითონ უნდა.
3. ზარმაცი — ყოველთვის სწორად იქცევა.
4. ჯიუტი — ბევრ კარგ საქმეს აკეთებს და ყველას ეხმარება.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

გაუხსნეს	**დაარქვეს**	**დაუდგეს**	**დაუბეჭდეს**

1. ასტრიდს პირველი წიგნი ----------.
2. ასტრიდს ძეგლი ----------.
3. ასტრიდის სახელი ვარსკვლავს ----------.
4. ასტრიდს შვედეთში მუზეუმი ----------.

გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ---------- კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

   ა) ასტრიდი. ბ) ასტრიდმა. გ) ასტრიდს.

2. ასტრიდის გმირები უყვართ ----------.

   ა) ბავშვები. ბ) ბავშვებმა. გ) ბავშვებს.

2 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

ასტრიდს ძეგლი **<u>სიცოცხლე...</u>** დაუდგეს.

გრამატიკა

3 შეარჩიე სწორი ფორმა.

1. ასტრიდმა ---------- კონკურსში გაიმარჯვა. *(ერთ/ერთს)*

2. მისი წიგნების გმირები უცნაური ბავშვები ----------. *(არის /არიან)*

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მან დაწერა.	**მათ დაწერეს.**
1. მან გაიმარჯვა.	----- გაიმარჯვეს.
2. მან დაარქვა.	----- დაარქვეს.

წერა

1 ამოიწერე ტექსტიდან ასტრიდ ლინდგრენის შესახებ ორი მნიშვნელოვანი ფაქტი.

1. ----------

---

2. ----------

---

2 მისწერე მეგობარს წერილი. ურჩიე, რომელი წიგნი წაიკითხოს და რატომ.